შპს. ეკოჰიდრო
ECOHYDRO LTD
ს/ნ 400161258

5 91 · 05 · 91 · 72

საქართველოს გარემოს დაცვისა და

სოფლის მეურნეობის სამინისტროს

როგორც თქვენთვის ცნობილია შპს „ეკოჰიდრო“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 400161258) მესტიის მუნიციპალიტეტში, მდ. ნაკრაზე გეგმავს 3-საფეხურიანი კასკადური ტიპის ჰესის მშენებლობა-ექსპლუატაციას. პროექტზე საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრის მიერ გაცემულია ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა #73 (13.10.2017). ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით პროექტით გათვალისწინებულია 3 ჰესის მოწყობა: ნაკრა 1 ჰესი, სიმძლავრით 5,95 მგვტ, ნაკრა 2 ჰესი - 4,36 მგვტ და ნაკრა 3 ჰესი - 10,56 მგვტ.

დეტალური პროექტირების პროცეში, ჰესების კასკადის განთავსების დერეფანში ჩატარებული დეტალური ტოპოგრაფიული და სხვა სამუშაოების შედეგების საფუძველზე საპროექტო ორგანიზაციის მხრიდან შემოთავზებული იქნა ჰესების კასკადის განსხვავებული სქემა. შეცვლილი პროექტი, ნაცვლად 3-საფეხურიანი ჰიდროელექტროსადგურისა, ითვალისწინებს 2-საფეხურიანი ენერგობიექტის მოწყობას, რომელიც გაცილებით მცირე სიგრძის იქნება და ნაკლებ ფართობს დაიკავებს. საპროექტო ცვლილებების შედეგად უკლებლივ ყველა ძირითადი გარემოსდაცვითი პარამეტრი უმჯობესდება ან/და უცვლელი რჩება, რაც დეტალურად აღწერილია წარმოდგენილ სკრინინგის განაცხადის დანართში.

პროექტში შეტანილი ცვლილებებიდან გამომდინარე საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-5 მუხლის მე-12 პუნქტის მოთხოვნის საფუძველზე წარმოგიდგენთ სკრინინგის განცხადებას.

წერილს დანართის სახით თან ერთვის კოდექსის მე-7 მუხლის მე-4 პუნქტით მოთხოვნილი ინფორმაცია, კერძოდ:

- ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობის, მათ შორის პროექტში შეტანილი ცვლილებების შესახებ;
- ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობის მახასიათებლების, განხორციელების ადგილისა და პროექტში შეტანილი ცვლილებების შედეგად შესაძლო ზემოქმედების ხასიათის შესახებ.

გთხოვთ, განიხილოთ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და მიიღოთ გადაწყვეტილება, ექვემდებარება თუ არა საპროექტო ცვლილებები გზშ-ს. წერილის დანართში წარმოდგენილი ინფორმაცია საკმაოდ დეტალურად ასახავს საპროექტო ცვლილებების შედეგად გარემოზე დამატებით მოსალოდნელი ზემოქმედების საკითხებს. აღსანიშნავია, რომ პროექტის მიმდინარეობის პარალელურად გაგრძელდება 2017 წელს გაცემული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით განსაზღვრული პირობების შესრულება, მათ შორის პროექტში შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით.

პატივისცემით,
მამუკა პაპუაშვილი

შპს „ეკოჰიდრო”-ს დირექტორი

29.01.2020

№ 1338
"29" 01 2020

შპს. ეკოჰიდრო
ECOHYDRO LTD
E-Mail: M.papuashvili@geoaquaenergy.com
მის: ქ.თბილისი, პეტრიაშვილის #1, ოფისი #6